


ମାର ତୁହରମାନେଶ୍ଵର

K 9088
1

କୁଳାଳି
ପାଦପାତା
ପାତାକାଳି

ଜପନୀସପାତା
ଫିଲ୍ଡେଲିଫିଆ



ომარ თევროპაული



აშენზეთი...

ჯარისკაცის ჩანაწერები



თავისი

დომინი

1993

801-94 + 9(47922), 1992, 8, 14 ... + 9(47922, 47922.4)

1. fshongr - չշենքի ու պահանջման
և fshaz2m1 սկզբան 1992 թվականի 14 դեկտեմբեր
թուրքական առաջնորդություն

ՀՈՇԱՎԵՐՆԱՐԴ ՎԵՐԱՅԻՆ ԹԱԽԵԱՀԱՑՅՈՒՆ

© Տպագրություններ՝ „Հոմելիո“ 1993

Տ. 198-2000
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



აპტორისაჩან

მკითხველისთვის აღმათ ზედმეტი არ იქნება იმის შესხენება, რომ დღიური ამა თუ იმ მოვლენის სრული თბიექტურობით ამსახველ დოკუმენტად მაინც არ გამოდგება; ჯერ ერთი იმიტომ, რომ დღიურების ავტორს საველე პირობებში, მით უმეტეს ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორიც თმია, საშუალება არა აქვს უბის წიგნაკში, თუნდაც გაკვრით, მოინიშნოს ესა თუ ის მოვლენა, ხშირად ძალზე მნიშვნელოვანიც კი; მეორეს მხრივ ხდება ისეც, რომ დღიურების ავტორი სრულიად მეორეხარისხოვან ამბავს ან უმნიშვნელო მოვლენას (მოვლენებს) მეტ დროსა და ყურადღებას უთმობს, გარკვეული ხნის შემდეგ კი მოულოდნელად მეხსიერებაში ამოტივტივდება ესა თუ ის ეპიზოდი, რომელიც ძევრად უფრო მნიშვნელოვანია და

ექვთესად ახასიათებს იმ სიტუაციასა და კა-
რემოს, ზაღაც იგი იმყოფებოდა. ამგამიდ
ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა შემუშა-
ლო; შეიძლებოდა მათი ჩართვაც ამ დოკუმენ-
ტი და ალბათ დიდ ცოდვად არც ჩამეოჭდეს //
ბოდა, მავრამ ეს დღიური კი არც მოგონებ
ბები გამოვიდოდა. ამრიგად, მკითხველსაც,
და უფრთ კი ჩემს თანამებრძოლ ჯარისკაც-
ებს (ბევრი მათგანის, უბრალოდ, მოსხენი-
ებაც კი ვერ შევძელი ამ ჩანაწერებში) პატი-
ებას ვთხოვ ყოველივე ამის გამო; ამ ჩანაწე-
რებს კი იმ იმედით ვაქვეყნებ, რომ რიგითი
ჯარისკაცის თვალით დანახული და აღქმუ-
ლი ომი, ყოველგვარი პერიოგის ვარემე,
ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხ-
ველისათვის.

ავხაზეთი...
ჯარისქავის ჩანარერები

ეროვნული
გილდიონის

13 მარტი, 93 წელი.

...როცა აღარ ვიცოდი რა მექნა, შვება-
სავით მომევლინა უწყება სამხედრო კომი-
სარიატიდან, მაგრამ კუჭის ტკივილები სა-
შინლად მაწუხებს და ვმიშობ, რომ არ წა-
მიყვანენ. ჩემი ავადმყოფობის შესახებ კო-
მისარიატში არაფერი მითქვამს, მაგრამ ნა-
თქვამია: "... ჭირმა თავი არ დამალაო".

15 მარტი, 01 საათი, 93 წელი.

დილით, რვა საათის შემდეგ უნდა გა-
მოვცხადდე სამხედრო კომისარისტმირ უ ჭაბუ
სამხედრო ფორმა ჩავიცვა. როგორიც ექვემდება კა-
რეს, ორ-სამ დღეში გაგვაგზავნიან უკა-
დლეს დავამთავრე მერაბ მამარდაშვილის
წიგნის კითხვა „საუბრები ფილოსოფიაშე“.
გული დამწყდა: მისი ბოლო ლექცია მთავ-
რდებოდა სიტყვებით „შემდეგი ლექცია არ
გვექნება...“

რა საშინელი ველურობაა იმი... ნეტავ
როვთონი იქნება იგი ახლოდან დანა-
ხული?

დროა დავიძინო როგორმე.

დილას ვიყავი. შეკრების ადგილზე, ერთხანს გვატრიალეს ყაზარმებთან, ეს რუსები... გარის მიერ მიტოვებული ყაზარმების, კარე კალბათ მათვან, შემდეგ კი წვენგან ვაძარ-ცეულ-გაპარტიახებული. გამოგვიცხადეს, აქ დარჩებითო... გათბობა და რამე ამგვარი ყაზარმებში არ არის, მაგრამ „ჯობს აქედანვე შეეჩერით სიცივესთ“, გვითხრეს... ბიჭებმა უარი თქვეს იქ დარჩენაზე, ზოგი მამინვე წავიდა, დანარჩენებმა ერთხანს კიდევ ვიტრიალეთ... მერე მეც დავიბარე, ხვალ მოვალ დილის 9 საათისთვის მეთქი და წამოვედი. კუჭის შეტევა მქონდა და ვერ გავძლებდი. სოდაც გამითავდა... ხვალ დილით ისევ უნდა წავიდე. სოხუმიდან თუ ოჩამჩირედან ჩამოსული ნაომარი ბიჭებიც იყვნენ იქ, თმის ამბებს ყვებოდნენ...

რუსთაველზე „წითელ კაფეში“ გამოვიარე, ნემი ნაცნობი ბიჭები ვნახე.. ისევ სვამენ და თმში წასულ ბიჭებს ადღევრძელებენ. მე უარი ვთქვი სასმელზე.

დილას ბავშვი წავიყვანე სკოლაში და
ნაწილში გვიან გავედი. ჯარში „ფაქტურულობა“
ნახევარი მთერალი იყო. „ტექსტის წაცემას ა
მეთქი“, ერთს შევეცითხე. სხვებისთვის ალ-
ზათ კარგადო — სიცილით მითხრა — ჩვენი
კი, რა გითხრა, მგონი მარტო შე და შენ
დავრჩით ფხიზლებით“. მთლად ასე არ იყო...
იქ იყვნენ აფხაზეთიდან ჩამოსული ბიჭებიც,
ისინიც (ზოგი) ნახვამები... კინალამ ჩხუ-
ბიც მოხდა. გვიანობამდე იქ გვაყურყუტეს...
გავიცანი ჩვენი ასმეთაური რეზო მაისურა-
ძე: გამხდარი, დაბალი ბიჭია, მაგრამ ძა-
ლიან გულმართალი და გაბედული ჩანს...
ფეხშია დაჭრილი და კოჭლობს. გვითხრა:
ერთი კვირა მაინც დამჭირდება, რომ სრულ
ფორმაში ჩავდგე, მანამდე თუ წაგიყვანენ,
ალბათ მე ვერ გამოგყვებითო... ჩვენთან
არიან სომხებიც, რუსებიც... ერთი თრმოცს
გადაცილებული აისთრია, მგონი ჯე-
მალი პქვია: „მე აქ ჩემი ნებით მოვედიო —
თქვა — ჩემი შვილი ახლა ჩამოვიდა ბრძო-
ლიდანაო... აბა როგორ, ჩვენი საქართველო
ჩვენ უნდა დავიცვათთ...“

დღეს საფოსტო ყუთში, სახლიდან გრძელისას აღმოვაჩინე ჩემი ლიტერატურის, მოდესტასის და დიანას წერილი; მაღანან გამიხარდა და მთელი უზური ცნობა გუნებაზე ვიყავი.

ბერლინის კარი

30 მარტი, 93 წელი.

27 მარტს ბატალიონის ახალი შევსება გავიყვანეს აეროპორტში. ერთხანს იქ გვატრიალეს. საღამოხანს, როგორც იქნა, თვითმფრინავის საწვავიც იშოვეს, მაგრამ ყველა ვერ დავეტიეთ. ორი ასეული გაფრინდა, ნვენი ასეული კი, რამთენიმე კაცის გამოკლებით, ისევ იქ დავრჩით. ეს ასეულიც შეაზე გავიყავით — ნახევარი სახლებში წავიდ-წამოვიდა, ნახევარი კი რომელიღაც გარაეიდან თითქმის ძალით მოტაცებული „იკარუსის“ მარკის ავტობუსით წამოვედით აფხაზეთისკენ. ახლა ცაგერაში ვართ, საშუალო სკოლის ორსართულიან შენობაში, რომელიც მთლიანად გამარტახებულია (ეს ხომ ნვენი ჯარისკაცების მიერაა განადგურებული).

ლი? აქ აფხაზი ბოვიკები, რამდენადა / ცუ-
ცი, არ შემთხვედან). მეორე ლექს ღამრები/
რაც აქა ვართ, და იარაღი ჯერაც არ შთუ-
ციათ წვენთვის. დღეს თბილისი ჭავჭავაძე //
სული რამოდენიმე კაცი კილუკრუმლებერწერა //

30 მარტი, 93 წელი.

ახლა ვდავობდით დღეს მარტის 30-ია
თუ 31. აღმოჩნდა, რომ გუშინდელ ჩანაწერს
შეცდომით დავუსვი 30 მარტი. თურმე გუ-
შინ 29 მარტი ყოფილა. ჯერ ახალი ჩამო-
სულები ვართ, მაგრამ ყოველდღიურობას
და გარესამყაროს იმდენად მოწყვეტილები,
რომ დღეების სათვალავი უკვე გვერევა.

წესელ სოფელში მუქი არ იყო. პირვე-
ლად გავედი ღამით ფარაულში სხვისი. ავ-
ტომატით. დაძაბული ვიყავი და ეჭვის თვა-
ლით ვაყურებდი ირგვლივ ნამუქებულ
ნოდილებს. ყველა ხმაურს გაფაციცებით ვა-
ყურადებდი. შემდეგ ცვლა მოვიდა და დავი-
ძინე. იატაკზე გამლილ ჭუჭყიან ლეიბებზე
და „ბუშლატებზე“ გვძინავს. ღამდამობით

ჯერ კიდევ ცივა. დილით ადრე განტაშით
წამოგვყარეს, თვითმფრინავები-მოუმონაჭე-
ნო. ამ დროს თურმე შენობიდან უნდა გავი-
დეთ და სხვადასხვა მხარეს გავიყინტოთ,
რომ დაბომბვის შემთხვევაში ჰავაზების მიზნები
რპლი იყოს. სკოლის შენობას საჭირო წესით
ღო ჯარისკაცები დამეს ვათევთ, ძალიან
დაუცველი მენვენება.

31 მარტი, 93 წელი.

დღეს ჩვენი ასეულის პარველი ოცეულის
უიარაღო „მებრძოლებმა“ პატარა ჯანყი
მოვაწყვეთ, იარაღს რატომ არ გვაძლევთ. მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში,
ჩვენ თვითონ დასაცველები ვიქნებით. რა-
მოდენიმე კაცი წავედით ოჩამჩირები; მე და
ტარასა (ტარიელ ტუსამვილი) შევედით
შრაბის უფროსთან, აკუხსენით მდგომარე-
ობა. იმან კი გვითხრა, მე რა გიყოთ, ვინც
თქვენ აქ უიარაღოდ გამოგიშვათ, წადით და
იმას ავინეთო. შტაბის უფროსის თთახიდან
გამოსულმა თვალი მოვკარი გოგა საინდრა-

ვას, რომელიც მოპირდაპირე თთახში შე-
დიოდა. გამიხარდა. გავაჩერე და გავიცანა.
შევედით მოპირდაპირე თთახში, ხაჭაც ჩემ-
და მოუღოდნელად ჯაბაც დავინახე. ჯაბა ამ
დროს ვიღაცას, თავის წვეულ სტრუტე უწერა
ტკიცებდა, რომ ეგენი ზვიადისტეტე ფრთის ეკა
ფაშისტები არიანთ... ჯაბასაც ავუხსენი წვე-
ნი მდგომარეობა, რაზეც მან მიპასუხა, რომ
არაფერი აქ საგანგაშო არააო, ეს წვეულებ-
რივი მოვლენაა, ორი გვირა კი არა, შეი-
ძლება ორი თვეც იყო უიარალოდ, იყვით,
საბრძოლველად ოუ გაგიყვანენ იარაღის გა-
რემე, მამინ სხვა ამბავიათ. საბრძოლველად
ხომ არ მიძყავს: რთ უიარალოებით, შემე-
კითხა. არა მეთქი კუპასუხე და ამგვარად
დამშვიდებული გამოვედი.

ამ წუთას ტამიშის მხრიდან სროლები
იხმის. უიარალთ მებრძოლები თვალმოუ-
შორებლივ მივჩერებივართ ბატალიონის
უფროსის მოადგილეს, „კასკას“, რომელიც
რაციით დახმარებას თხოვლობს... ჩანს უარს
ეუბნებიან. იქვე ერთი ჯარისკაცი გიტარას
აზიზინებს მშვიდად. „გააჩუმე გიტარა, არ
მესმის რას მეუბნებიანთ, ყვირის „კასკა“.

შემდეგ გაბრაზებული ავღებს ჩვერმილი, ამ-
ტომიატს იღებს და გადის. კავშირგამბეჭდო
ბის ოცეულიდან ერთი ჯანმხატუ მეურნე
რაციაზე აფხაზური მხარის, დაქვერის, ცეცი-
ლობს. არაფერი გამოდის ჯერჯერობით....

ზურა („კასკა“) მალევე ბრუნდება. თურ-
მე არაფერი ყოფილა საგანგამო... ანლა და-
მეა. კვითხულობ სკოლის ბიბლიოთეკამი
შემთხვევით აღმოჩენილ „ნაზია დამეს“. სკო-
ლის ბიბლიოთეკა, ან უფრო სწორედ ყო-
ფილი ბიბლიოთეკა, შენობის მეორე სარ-
თულზე. წიგნების ნახევარი თაროებს შო-
რის, იატაკზეა მიმობნეული ამ სკოლის მოს-
წავლეთა მკითხველის ბარათებთან ერთად
და.... შარდის სუნად ყარს იქცერობა. იქ
ხომ აფხაზი ბოევიკები არ ყოფილან?

1 აპრილი, 1993 წელი.

მეორე დღეა ცარიელი პერისა და უშა-
კრო ჩაის გარდა საჭმელი არაფერი გვაქვს.
რამოდენიმე გაცი თხამნირეში წავიდა პე-
რის საჭმელად. გუშინ იქ მეღ ვიყვავი და

ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სახელით -
ში ხორციანი ბორში და კატლეტი ვჭრა
ბრინჯის გარნირით. სამნი ვიყავთ არავრც ॥
უკითხავს ვინა ვართ და რა უფლებით რმუკ ॥
ვირთმევთ ცხელ კერძებს. აქ შეიძლება სა-
მხედროფომიანი აფხაზებიც მობრძანდნენ
(დორმა მათაც ჩვენნაირი აქვთ), ცხელი სა-
დილი მიირთვან და მშვიდად გააგრძელონ
გზა. ერთი ამბობს, ამოდენი საქონელი და-
დის ამ ხოფელში, ერთი მივახვრიტოთ და
ხორციანი საჭმელიც გაგვიჩნდებათ. სხვები,
ზოგნი იწონებენ ამ აზრს, ზოგნი მორიდე-
ბული შენიშვნებით კმაყოფილდებიან: „სირ-
ცხვილია, ბოლოსდაბოლოს ქართველების
სიფელით“, „ვანა რამდენ ხანს გვეყოფა ეს
ერთი ძროხათ“ და სხვა.

2 პპრილი, პარასკევი, 1993 წელი.

გადავწყვიტე დღიურში დღეებიც ჩავწე-
რო ხოლმე, რადგან, ხშირად, დღეების სათვა-
ლავი გვერევა.

დღეს ვავიცანი ერთი მუელი მებრძო-
ლი. ცხინვალიდან მოყოლებული ამ ბატა-
ლიონში ვართ, თქვა. ახალგაზრდა ბიჭია,

ნემშე ბევრად ახალგაზრდა, მაგრამ მეტა
ლებში მკაცრი სიცივე უდგას. პუკება, რა
საშინლად აწამებენ აფხაზები ქართველ
ტყვებს, როგორ ამცირებენ ფერწერები ॥
დარჩენილ უიარაღო მოსახლეობას. კარწილი კა
სოფლის აღებისასო — ყვება — აფხაზების
მიერ ნახევრად დამწვარი კაცი ვნახეთ, ჯერ
კიდევ ცოცხალი იყო, წელს ქვემოთ ძვლე-
ბი იყო მხოლოდ დარჩენილი, ფეხები ჯო-
ხებივით გამოსაწიროდათ — და ვვიხსნის თუ
როგორ აკეთებენ ამას — წელს ქვემოთ ბენ-
ზინს ასხამენ და ცოცხლს უკიდებენ, წელს
ზემოთ კი, რომ არ დაიწვას, წყალს ასხამენ.
შემდეგ, დიდხანს რომ ეწამოს და არ მოკვ-
დეს მალე, ნემსს უკეთებენ — ის კაცი ჯერ
კიდევ ცოცხალი იყო, სიგარეტი გვთხოვა,
მოვაწევინეთ, მერე გვითხრა, მომკალითო...
მე ვერ ვესროლე... ჩემმა ამხანაგმა დაბ-
რიდა".

ბიჭები კიდევ ბევრ საშინელებებს ყვე-
ბიან, ზოგს საკუთარი თვალით ნანახსა და
განცდილს, ზოგს სხვებისგან მოსმენილს.
საინტერესოა, რომ თავიანთ ნამოქმედარსაც
ისევე დაუფარავად ყვებიან, როგორც უწყი-

ნარ თინბაზობებს... ყველაფერ ამისგან წმე-
ბი ყალყზე დაგიდგება კაცს...

დავამთავრე „ნაშია ღამეს“ კითხვა... გა-
უბიცების და ავტომატების სროლის ხმა
მიწყნარდა და გარეთ გაშაფხულის შემთხვევა
იწყება... ამ დროს კი სადღარე ჭრლაცას უკა-
ლაცა სძულს, ვიღაცა ვიღაცას მოსაკლავად
ტყვიას ესვრის, ვიღაცა ვიღაცას აწამებს...

3 პრილი, შაბათი, 93 წელი.

იარაღი კიდევ არ მოუციათ. დღეს დი-
ლიდან ჩვენი ოცეულის ბიჭები ოჩამჩირე-
ში წავიდნენ. ზოგი სხვა ნაწილში გადასვლას
აპირებს. ახლახანს თრი ბიჭი დაბრუნდა
ბაბუშერადან, სადაც ჩვენი ბატალიონის თრი
ასეული დგას, ასევე შეუიარაღებელი. ამბო-
ბენ, რომ იქ პვების საკითხი უკეთესადაა
მოვარებული, თღონდაც მეტი უდისციპ-
ლინობა და არეულობაათ. წარმომიდგენია,
ჯერ აქ რაა და იქ, ამაზე მეტი უდისციპლი-
ნობა როგორი უნდა იყოს. როგორც ჩანს,
ქართული ჯარის ჩამოყალიბება არც თუ
იოლი საქმე ყოფილა.

„კასკა“ მცენი მებრძოლებიდან გამოსი ერთადერთია, რომელიც არ თვრუბა და უთავმოლოდ არ დაყიაღობს. „შეულერას“ დალესაც ნასვამი მოვიდა და ტექსტ „გარე სკას“ (ბატალიონის უფროსის მოადგილე) და ამ „შეულერას“ ჩხები მოუვიდათ. „კასკაშ“ ავტომატი წაართვა, ახლა ის „ლიმონკას“ აფეთქებით ემუქრება. როგორც იქნა დააშოშმინეს. შემდევ „შეულერა“ და ტყვია-წამლის საწყობის გამგე უნომრთ გამ-21-ში სხდებიან ერთად და სადღაც მიდიან.

დღეს მე, სერგეი და მიშა სოფლის ფერ-მაში ვიყავით საბანაოდ. ფერმა სოფლის გა-ნაპირას, სასაფლაოების ახლოსაა. ცხელი წყლით და საპნით დავიბანეთ, მაგრამ ფერ-მის სააბაზანო ოთახს არც ერთი ფანჯარა მოელი არა აქვს და ორპირისგან მკონი სა-მივე გავცივდით. უკან გზაზე მომავლებმა დათო ბაშარული, იურა და კიდევ ერთი ბი-ჭი დავინახეთ; პატარა გუბურაში (ადგალობ-რივი მაცხოვრებლის, ყურაშვილის ებოში) თევზაობდნენ ანგესებით. სახლის პატრო-ნიც იქვე იყო პატარა, ექვსი წლის ვაჟიშ-
2. ი. თერმანული

ვილთან ერთად. იქვე ლელიანში იწვა მუხ-
წითელი ფერის ავთვალა ძაღლი. ბიჭებს გუ-
ბურიდან დროდადრო მართლაც ამოკეა-
ვდათ პატარა თევზები. სახლის პატრიონი
ამბობს, რომ დიდი თევზები ჯრის გულებ გრი-
ბურის სიღრმეში არიან. შემდეგ ამ უკრაშებ ეს
ვილმა გვითხრა, თერთმეტი ღთრი მყავდა,
ჩვენივე ჯარისკაცებმა მომპარესო. კი, ვა-
საგებია, კაცს რომ მოშივა, შეჭამს აბა ჩას
იზამს, ალბათ მეც ასევე მოვიქცეოდიო, მა-
გრამ ერთი ღთრი მაკე იყო, მალე უნდა დ-
ეყარა კიდეც, მუცელი ლამის მიწაზე დას-
თრევდა და ის მაინც არ უნდა მოეკლათო.
ახლა ერთი ბურვაკიდა დამრჩა და შიშით
გარეთ ვეღარ გამიშვია, პრა და საჭმელიც
არაფერი მაქვსო... შემდეგ ოხრავს და ამ-
ბობს: „ეპ, მმვიდობა იყოს და ეგეც იმათ
გზას მიძყოლიათ“.

5 აპრილი, ორშაბათი, 93 წელი.

დღეს გიდევ ერთხელ აჩოჩქოდდნენ ბი-
ჭები: წავიდეთ, ახე უიარაღოდ და უხაქმოდ
18

აქ როდემდის ვისხდეთო... ახლა სადამთა.
მე „პინგვინთა კუნძულს“ ვკითხულით. ჰი-
ჭები ქალებზე ლაპარაკობენ, ისენებზე რა-
ღაც კურიოზულ შემთხვევებს თავისანთი
ცხოვრებიდან და სიცილით ჰყულდების. ॥

ტექსტი მოტექსტი

7 აპრილი, ოთხშაბათი, 93 წელი.

გუშინ, საქმე რომ არაფერი გვქონდა, მე,
მამუკამ და გივიმ („კახელომ“) სოხუმში
წახვლა გადავწყვიტეთ. რაც ომი დაიწყო სო-
ხუმში არ ვყოფილვარ. გზად მეღესანტეების
ნაწილში შევიარეთ. მამუკამ კიდაც ნაცნო-
ბი იქითხა, გუშინ წავიდა თბილისშით უთ-
ხერეს. შემდეგ ვზა გავაგრძელეთ სოხუმის-
კენ. აერთოთორტიდან ერთ ადგილი ბრივ ახ-
ალგაზრდა კაცს დავემცგავრეთ, საკუთარი
მანქანით იყო, გვარად ტაბატაძე. სოხუმი
სავსეა სამხედროებით და შათსანი ქალე-
ბით. რაღაც ანაქრონიზმად მეჩვენება აქა-იქ
შემთრჩენილი ძველი პლაგატები: „მირუ
მირ“. „გავუფრთხილდეთ ბუნებას“. პირვე-
ლად ვნახე ქართული კუპონი: ქუნაში ერთი

ახალგვამრდა გოგო გავიცანით, საღვურის კბა
ვკითხეთ; მეც იქით მოვდივარო ვაითხო
და გზადაგზა სხვადასხვა თემაზე საუბარი
ჭრთელი ფულის ამბავიც მოჰყვა, აღვიწნ-
და, რომ დღეს მიუციათ ხელფტერ წერტული
ლი კუპონებით.

ბიბლიოგრა

სოხუმიდან ოჩამჩირემდე ავტობუსით
მგზავრობა საკმაოდ ძნელია. ავტობუსები,
როგორც ჩანს, ყოველთვის გადატვირთუ-
ლია დღის საათებში. ღამით გზის ამ მონა-
კვეთშე მხოლოდ სამხედრო მანქანები და
ტრანსპორტი მოძრაობს, ისიც იშვიათად.
სოხუმის ბაზარში მაინც ხალხმრავლობა
იყო. კაჭრობდნენ როგორც კუპონებით, ისე
საბჭოთა ფულით. დრანდამდე ავტობუსით
ვიმგზავრეთ. იქ ერთმა აღვილობრივმა სამ-
ხედროფორმიანმა კაცმა ბაზარში ჭიქა არაუ-
ზე მივეკიპატიუა. ბიჭებმა დალიეს. ითქვა
ომში დაღუპულთა ხსოვნისა. ყველას ვიღაც
ჰყავს დაღუპული, ზოგს ძმა, ზოგს შვილი,
ზოგს ახლობელი ნათესავი...

დრანდადან ბოსტნეულით დატვირთულ
„კრაზის“ ძარაზე მოვთავსდით. ხახვი, კარ-
ტოფილი და სტაფილო მოქმედდა. გზის გას-
წვრივ მოსჩანს გადაბუგული სახლები. გზა-

ზე თითქმის ყველა ხიდი რევოლუციის
და შემდეგ სახელდახელოთ აღდგენიადი. ცო-
გერაში მისკლისას მძღოლმა უსაჭრებრივად
ტოფილი თუ გინდათ აიღეთგრძელებულებულ
ზა, ჩვენ ხანვით სავსე ცალთვანის პარკი
ვეჩვენეთ: „უკვი ავიღეთ“, რაზეც ყველას
გაგვიცინა...

...ვუშინ მეზობელი ხოფლიდან (ზვენი
პოზიციები იქ არის) გაცოფებული ბიჭები
ჩამოვადნენ: „ტყვია-წამალს რატომ არ გვა-
წოდებთ“. („არუცეიკის“ გამგე მესამე დღეა
არ გამოჩენილა — „გვეონება ფერმი ბელე-
ლი იყო, ჩაიდო გახალები და წავიდა“ — შე-
ნიშნა ამაზე ტარასამ).

...დღეს ვიყავი დიკიშია „აბილისელის“.
პოზიციებზე და ბინოკულით გავჩედე მოწი-
ნააღმდეგე მხარის პოზიციებს. მოწანს ტყვა-
რნელის შესასვლელიც (თვითონ ტყვარნელს
გორა ეფარება.).

დივიზია „თბილისელის“ პოზიციებიდან. მობრუნებულმა, უცებ გადავწყვიტო, თბილისი ში წასვლა იმ იმედით, რომ ეგებ იქ შაინც გავარკვით, როდემდე უნდა ვიყოთ აქ ახე უსაქმურად და უიარადთდ. შაბათამდე და-ვიცდით და თუ ჩარაღი არ მოგვცეს, ჩვენც დავბრუნდებთთ, მითხრეს ბიჭებმა. დავთ-ქვით სამშაბათისთვის, 12 საათზე შევხვდეთ გარნიშონში. წამოსვლისას მირჩიეს თვით-მფრინავით გადავჭრენილიყავი, რადგან ზუგდიდში ქობალის, დომუხოვსკის და გე-ლბახიანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, გზა გადაკეტილი აქვს და ავიყვანენთ. მე მაინც ამ გზით წამოსვლა ვარჩიე. გალიდან ზუგდიდის შესასვლელამდე „იკართხით“ ვიმგზავრე. ავტობუსში მრავლად იყვნენ (როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში) მათსანი ქალები. ერთ-ერთი მათგანი მომი-ყვა, რომ ჯერ აფხაზმა ბორვიკებმა გამიძარ-ცვეს და ამითხრეს სახლი, შემდეგ რაც მათ გადაურჩათ, ახლა ჩვენებმა გამიძარტახესთ.

ზუგდიდის შესასვლელთან „ქობალის ბიჭებმა“ მართლაც ჩამომსვეს ავტობუსიდან

არც თუ მაინცდამაინც ზრდილობიანად, მა-
გრამ ცუდიც არაფერი უკადრებიათ; საუკედ-
ვლიანად გამჩხვიკეს და რომ ვერაფარი მის
პოვეს (იარაღს და ტყვია-წამიალი „ეჭვერნუნი“),
ისევ დამრთეს ავტობუსში ასტულის ნება. ახ-
ლა თვით ზუგდიდში შემაჩერეს სამხედრო-
ფორმიანმა და ავტომატიანმა ახალგაზრდებ-
მა; ერთი სპორტულ ფორმაში საცმელი ახ-
ალგაზრდა მოვიდა და „ზარანდია ვარ მე,
ქალაქის კომენდანტი“ — მითხრა. მეც ხელი
გავუწოდე „ფრიად სასიამოვნოა“-მეთქი
(იმედი მქონდა, დამაკავებენ და ეგება ამ
ლეგენდარული ქობალის ნახვას ველირსო-
მეთქი), მაგრამ ჩემი ვინაობა რომ დააშუს-
ტეს, ზრდილობიანად ნამსვეს თავიანთივე
მანქანაში და ზუგდიდის ბოლომდე მომაცი-
ლეს; გზადავზა მიხსნიდნენ, რომ ველბახი-
ანისა და დომუხოვსკის დაპატიმრება იმ
დროს, როდესაც უკვე ვაპირებდით ტყვარ-
ნელის განთავისუფლებას, მხოლოდ პროვო-
კაციაა და მათი მოფიქრებულია, ვისაც ჩვე-
ნი ერთიანობა არ აწყობსთ. ზუგდიდის შე-
სავლელთან შეიარაღებული ბიჭები გზას
ხერგავდნენ ამწეს დახმარებით. იქაც
თვითონვე გამიჩერეს მანქანა და სამტრედი-

ამდე, ზუგდიდელებთან თბილად ვამთმუშავ
დობების შემდეგ, ამ მანქანით ეიშგზავნა...
ახლა სამტრედია-თბილისის „იკარისში“
ვზივარ; მძღოლი თანხაშე ურთყდება მუშავი...
ვრებს... ტრატორის ე

გ პრილი, 93 წელი.

(თითქოს გუშინ ყოფილიყოს 89 წლის
8 პრილი, როდესაც სასტუმრო ივერიის
მხრიდან პირველად შემოვრიალდა რამთდე-
ნიმე რუსული „ბმპ“.).

გუშინ სამტრედიდან ქუთაისის გავლით
ნამოვედი თბილისში ღამის ორ საათზე. ჩემ-
თან ერთად მგზავრობდენ თურქეთიდან მო-
მავალი ვაჭრები... ერთ-ერთმა მათგანმა
(ქალმა) დოლარებით და ნავაჭრით სავსე
ნანთა დაკარგა ავტობუსში.



უუმინ გამოვედი სახლიდან, კიდევ მარტი
თხელ შევიარე ჩვენი ბატალიანის, დამატებულ
ქაციის აღვიღზე. კიდევ ერთხელ ჭრისუნარების
„როდამდე უნდა ვიყოთ უიარაღოდ, ავდევი-
ბი და ყველანი უკან დავბრუნდებით-მეთ-
ქი“. დამემუქრნენ, დაგიჭერთ და როგორც
დებერტინს გაგასამართლებთ, დავხვრეტ-
თთ. გამეცინა. შემდეგ ვკითხე, ის მაინც მი-
თხარით, იქ ბიჭებს რა გადავცე, ასე როდემ-
დე ვიქნებით მეთქი — ვერაფერი მითხრეს,
შევხვდი ჩვენი ნაწილის ბიჭებს: არსენას,
გიას და გოგის. ისინიც ჩემსავით ამბის გა-
სარკვევად ჩამოვიდნენ. როცა დავრწმუნდით
აქ ვრაფერს გავარკვევდით, მე და არსენამ
გადავწყვიტეთ აფხაზეთში დაბრუნება. ვთ-
ვიმ გვითხრა, ხვალ ჩვენც ჩამოვალთო. მე
და არსენა აეროპორტში წავედით. აეროპ-
ორტში სოხუმში მიმავალი ჯარისკაცებით
იყო სავსე. ჩვენთან მოვიდა ერთი შუახნის
ქალი ახალგაზრდა ქალთან და ბავშვთან ერ-
თად, ახალგაზრდა ქალზე მიმითითა და მი-
თხრა: „დეპეშა მივიღეთ, ამის ქმარი დაჭრი-
ლი ყოფილა და იქნებ გამგზავრებაში დავ-

ვენმართთო". კომენდატურაში უარი გამხ-
რეს, ყველა ასე ამბობს, ვინც აქ მოღისნამ-
ხედროვებისთვის კი თვითფრინავში ადგილი
აღარ რჩებათ. ჩვენ მაინც მოჰქმდებით მისი
საფრენ ბილიკზე შემვებელ იპ. ი. მ. ი. ე. კ

მფრინავი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა.
აეროვავზღვის კომენდატურის წინ დიდი
ჯვლეთაა. ირევიან და ერთმანეთზე გადადი-
ან უიარადო და იარაღიანი ჯარისკაცები,
შაოსანი ქალები, დაღუპული, ახლობლების
სურათები რომ აქვთ მკერდზე მიბნეული და
ბევრსანთიანი, დიდნანთებიანი მგზავრები
— ალბათ ვაჭრები. ერთხელ ისე მომაწვნენ
გვერდიდან, რომ რიგიდან გამომაგდეს და
ამ ჩანთებს ზედ რომ არ დავცემოდი, დიდი
ნახტომის გაკეთება დამჭირდა...

როგორც იქნა გავედით თვითმფრინავთან.
ჩემი ნაცნობი მფრინავი ტრაპთან დამ-
ხვდა. წინა სალონში, სკამებს შორის გადე-
ბულ საკაცებზე მიცვალებული ესვენა და ზე-
მოდან ყვითელი ატლასის ნაჭერი ეფარა.
არსენა უცვე სალონში მოთავსდა და მაშინვე
გვერდზე მჯდომ სამხედროფორმინ ქალს
გაუბა საუბარი. მე ჩემს ნაცნობ მფრინავ-
თან, ვოვა კვიეინაძესთან ერთად პილოტე-
26

ბის კაბინაში შევედი. „მეორე პილოტი ინც არ მოსულა და შენ დაჯექი იმის გილასთ“, მითხრა. მევთნა მეხუმრაბორა მაგრამ პილოტი რომ არა და კარ გამოიწვია მართლა დავჯექი პილოტის აღვაძლას. კაფ-რენამდე რამდენიმე წეთით ადრე მეორე პილოტი მოვიდა და ადვიტა რომ დავაპირე „ოჯექი, ოჯექიო“, მითხრა. ვოვა ჩემს გარ-შემო განლაგებული უამრავი ხელსაწყოს და-ნიშნულებას მიხსნიდა, რომელთაგან მხო-ლოდ სკოლიდან ნაცნობი კომპასის სახელი დამამასხოვრდა... ასე კიფრინე პილოტის სკამზე მოკალათებულმა სოხუმამდე. დაშვე-ბის წინ ჩემი ადგილი, უფრო სწორედ, თა-ვისი ადგილი ისევ პილოტმა დაიკავა.

ისევ 14 აპრილი.

აეროპორტიდან დრანდამდე ფეხით ვია-რეთ. ვვიანი იყო და ტრანსპორტი ონამნი-რის მიმართულებით ადარ მოძრაობდა. დრანდაშივე დავვიდამდა. შემდევ ერთი „ბელარუსი“ მოვიდა, რომელსაც ვარჩის

ხიდამდე გამოვყევით, სადაც აფეილობრივი
მოსახლეობა დგას სადარაჯო პოსტზე იქნა.
ბეტონის ბლოკებით ამოშენებულ უსერ
მავრები "პატარა ტელევიზორიც-ლერფიმო" (ბიჭები ძირისადად მეგრულ კილოზე სა-
უბრობენ და ბევრი ვერაფერი მესმის.) შე-
აში კოცონი ბოლავს და თვალებს გვიც-
რებულიანებს. აკვამლებული კოცონისა და
პატარა ეკრანის მოციმციმე შექმნა ბიჭებს
რაღაც იდუმალი ელფერი გადასდით სახეებ-
ზე. გარეთ ეინ-ელავს. ტელევიზორში ამ დროს
მოამთე"-ა. ამ დროს დიქტორი აცხადებს
შვიადისტების მიერ ფილარმონიის წინ მოწ-
ყობილ მიტინგზე. ერთბაშად ყველა წყვეტის
საუბარს, გარეთ მყოფებს: ცუმახიან და ტე-
ლევიზორის უხმოდ უკურებენ. დროდადრო
რომელიმე მათვანი რაღაც რეპლიკას უწ-
ავს.

მე და არსენა მთელი დღის მშივრები
ვართ. კონსერვები კი გვაქვს, მაგრამ არა
გვაქვს პური. მასპინძლებისგან ვთხოულობთ.
პური თურმე მათაც უჭირთ, მაგრამ ჩვენთ-
ვის შოულობენ და კოცონზე პირდაპირ ქი-
ლით შემთბარ კონსერვს მათთან ერთად

ვჭამთ. გადავწყვიტეთ ეს ლამე აქ გავათუ-
ნოთ, მაგრამ შემდეგ ორი ტანკი და ერთიც
ცისტერნიანი მანქანა მოდის, ცავერამდე
მივდივართთ. ჩვენ (მე, არსენა და კალევ
ორი ჯარისკაცი) ცისტერნაზე ჭრისძლის აუ
და გზას ვაგრძელებთ. ისევ გამოიტაქს ჩარიტა ეს
გვლივ ბრძა ტყვიებით დატენილი ბნელი
ლამეა ტანკების შექფარების ზოლის ორივე
მხარეს. გრუსუნ-გრუსუნით მივდივართ.
დროდადრო ტანკები ჩერდებიან და ამ დროს
ვარკვევით ისმის ბაყაფების ყიყინი გზის
ორივე მხრიდან, სიბნელეში. ზოგჯერ შექ-
ფარების ზოლში რომელიმე დანვრული
სახლი, ან სავაჭრო ფარდულიც მოექცევა
ხოლმე. ერთ-ერთ ასეთ ფარგელზე წარწე-
რაც კი გავარჩიე „ვინო-ვოდონიე იზდელია,
სივარეტი“ და ამერიკული სივარეტების, „შელისა“ და „მალბოროს“ ეტიკეტებიც შე-
ვიმნე.

ტამიშთან მიახლოებისდაკვალად სროლე-
ბი ძლიერდება „შვილებ მამა უნდათ“, ამ-
ბობს არსენა და მანქანის კაბინასა და ცის-
ტერნას შორის დარჩენილ ადგილში ცდი-
ლობს ჩამალვას. ტამიშში ჩვენი კოლონა
ჩერდება, მეტს აღარ მივდივართთ, გვეუბ-

ნებიან. ცაგერამდე კი რამდენიმე ბნელი კი-
ლომეტრი გვაქვს დარჩენილი. — წასვლის აზ-
რი არა აქვს, აյ უნდა დავრჩეთ. წვიმი თაჭ-
დათან მოუხშირა. ცისტერნამ, რამდელაც
ჩვენ მოვყევით, მარჯვნივ ჩაუსტები, წილის და-
ბეში. ერთ-ერთი სიბნელეში ჭაშბისტუმი ჰქონ-
ხლის ეზოდან საწვიმარმოსხმული რამდე-
ნიმე ჯარისკაცი გამოვიდა; მანქანის შუქფა-
რების სინათლეშე თითქოს ნაცნობი ხახუ-
ბი გავარნიე. მე და არსენაც ახლოს მივედით;
ბიჭები მართლაც ჩვენი ოცეულიდან,
ჩვენი ბატალიონიდან იყვნენ. ჩვენ იმათი,
იმათ კი ჩვენი დანახვა გაუკეირდათ, აქ,
ამგვარ სიტუაციაში ერთმანეთთან შეხვედ-
რას არ ვეღოდით; აღმოჩნდა, რომ უიარა-
ლობით და უხაქმურობით შეწუხებული მოე-
ლი ჩვენი ოცეული ცაგერადან ტამიშში გა-
დმოსულა სხვა ნაწილში. „დანარჩენი ბი-
ჭები სადღა არიან მეთქი“ — ავთოს ვკითხე
და გუშინ გავიღნენ მეზობელ სოფელში,
პოზიციებზე, მითხრა. აქ ორნი, მე და კი-
ვი ვართ დარჩენილი და ამ დღეებში ჩვენგ
გავალთო, მითხრა. წესელ ტამიშში მათთან
ერთად გავათენე დამე. დილას „ახალ“ უფ-
როსს, მერაბ თოფურიას ბაბუშერაში გავყე-
ვი, რომ ხელმძღვანელობას ვთხოვო, მეც

ნემ ოცეულთან ერთად ჩამრიცხონ თოფუ-
რიასთან... გია ყარყარაშვილი ნახეო, რა
რაბმა მითხრა. ვნახე. სიტყვიერად მოვა-
სენე ჩემი მდგომარეობა; მანაც სიტყვაური
თანხმობა მომცა, კი ბატონი, ჭულაბის ნიშანი ॥
ონდ ეს ყვალაფერი შემდეგ უწინ ჭულაბის ეს
დესო...

ისევ 14 პრილი.

შევე პოზიციებზე ვარ, იმ სოფელში, სა-
დაც ჩვენი ოცეულის ბიჭები არიან. მომცეს
ა. ჭ. ს.“-ი. კონდახი არა აქვს, მაგრამ სულ
არარაობას ჯობს, თავდაცვას მაინც მოვა-
ხერხებ. აქ დამხვდენ ჩვენი ოცეულის ბიჭე-
ბი: დათო ბაშარული, ტარიელ ტუსაშვილი,
მამუკა აბალაკი, კარენ კარახანოვი, მიშა-
ღლილვაშვილი, კიდევ რესი მიშა, სერვეი
და სხვები. „ბ. ემ. პე.“-თი ამოვედით. რო-
გორც კი „ბე. ემ. პეს“ ლუქი გავაღეთ და
გადმოვედი, ირგვლივ ისეთი გამაყრუებელი
სროლები იყო, გავთვნდი, არ ვიცოდი სად
შევმძვრალიყავი, ვერ გამერკვია, ან მტერი
საიდან ისროდა, ან მოყვარე; შემდეგ ცო-
ტა მიწყნარდა სროლები და ნაცნობი სახე-
ების დანახვაზე გული მომეცა...

ბიჭები ხან „ერანატამიოტს“ უძალესების
ბდნენ (საშინელი ხმა აქვს, პირდაპირ გამაყ-
რუებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელოვან
ბით), ხან ტყვიამფრქვევს ჰქონდას უკავშირის
აკაკანებდნენ: ერთი სიტყვით, ფრონტზე
სიმშვიდეა... ვინც პოსტზე არ დგას, კასრის
ირგვლივ ვართ შეკრებილები და ვთბებით,
არიან მთლად ახალგაზრდა ბიჭებიც; ამათი
ომში ყოფნა ხაცოდათბაა.

— ე! — წეხს ერთი (ხოსთ ქქვია, ბორ-
ჯომის რაოთნიდან) — ჯარში მალიან დავეჩ-
ვიე გინებას, ყოველ სიტყვას გინებას ვაყო-
ლებ... ამას წინათ ხახლში ვიყავი და დედას
კუთხარი, დედი, ჯარში გინებას დავეჩვიე
და რომ წამომცდეს, არ გაგიკვირდეს-მეთქი...

ხოსთ 18-20 წლისა იქნება დაახლოებით;
მიყვება, როგორ გაიქცა სახლიდან, დამოუ-
კიდებელი ცხოვრება გადავწევიტეთ... რო-
მელიდაც ტექნიკურში სწავლობდა; შემდეგ
მოხალისედ ნაწერილა არმიაში...

წვიმის გადაუღებლად. „პლაშ-პალატკე-
ბიც“ კეღრ გვიცავს წვიმისაგან. სანგრები
წყლით გაივსო; ერთი ჯარისკაცი ხუმრობს:

„აკოდეში“ რომ ჩავდივარ, ფეხებქვეშ თევზები
მიძვრებიანთ (ეს გივიმ თქვა, „ფასელომ“)
კარენა კარახანოვმაც იმის ხუმრობას მხედა
აუბა: აბა, ბიჭო, ჩემი თვალით, დაფიციენა ॥
„რაეთყი“ (ავტომატის მჭიდი) წარუკრებული ეს
ვიდრე იპოვიდა სამჯერ მაინც ჩაყვითათ...

16 პპრილი.

ალიკა დაჭრეს.

ძირითადი პოზიციებიდან მომღრებით
ერთი სანგარი გვაქვს. იქითკენ მიღიოდე
თურმე. მე ამ დროს „რაციასთან“ ვიყავი;
დათო ბამარაული და მამუკა აბალაკი ჩა-
ვიდნენ ამთსაყვანად. სანგარში ამ დროს
ვიქტორ ვოგლიძე ყოფილა და დაჭრილი
ალიკა იმას ნაუთრევია, თორევ ალბათ და-
ცხრილავდნენ. შემდეგ ვიქტორმა, დათომ
და მამუკამ ამთიყვანეს იქიდან. გაფითრე-
ბული იყო ალიკა. მე რაციით ვცდილობდი
შტაბთან დაკავშირებას. ძლივს მოვახერხე
კავშირზე გასვლა; რაციის აკუმულირონე-
ბი დამჯდარია. საბედნიეროდ ჭრილობა
მსუბუქი გამოდგა. ფერდშია გავლილი

„ა. კა. ეს“-ის ტყვია, ისე, რომ შიგნით კანკური აქვს დაზიანებულით...

ბიჭები მალევე დამშვიდნენ და ხუმრობის გუნებაზე დადგნენ. ერთიანება

— ნაჯდომი თუ ხარ, გოტმი ჰერცისხებამ-პან გონას, ჩვენი უფროსის მოადგილეს.

— არა, ღმერთმა დამიფაროს...

— შენც ეკითხები, რა — საუბარში ერევა მეორე ჯარისკაცი — ნაჯდომი რომ იყოს კაპიტნის „შვანია“ მაინც ხომ ექნებოდა...

17 პპრილი, შაბათი. 93 წელი,

დღეს წვეულებრივი დღე გათენდა. ღამე, 12-იდან 4 საათამდე პთსტზე ვიყავი. ისეთი ბნელი ღამეებია, თვალთან მიტანილ თითხ ვერ დაინახავს კაცი. დამაბულები მივწერებივართ წყვდიადს და დროდადრო ვისვრით სიბნელეში. სადარაჯოსთან მობრუნებულმა მისაწოლი ადგილი ვერ ვიპოვვა და თუნუქის ქასრთან (ღუმელის მაგივრად ვხმარობთ) მომიწია ღამის გათენება. დღეს სროლებია იქიდანაც და აქედანაც...

გუმინ საქმაოდ შძიმე დღე გვეთხდა, მა-
რჯვენა ფლანგზე (სადაც ახალციხის ჭავა-
ლიონი დგას) დიდი სროლა ატკეცებულ
მეტყვიამფრქვევე დაგვიჭრეს (ეს შევე მე-
ორე დაჭრილია ამ ცოტა ხანში). ავფორიაქ-
დით. საბედნიეროდ ჭრილობა ამ შემთხვე-
ვაშიც მსუბუქი აღმოჩნდა. შემდეგი ღამეზ
ძალიან დაძაბული იყო: მთელი ღამე გადა-
უდებლად წვიმდა და ძალიან, ძალიან ბნე-
ლოდა. ღამის 4 საათზე, სადარაჯოზე რომ
შეგვცილეს, კასრთან ტოლადები და ჩექ-
მები გავიშრე, მერე „პლაშ-პლატა“ წავი-
ფიცრებზე მიწოლილმა და მავრად
ჩამეძინა. სროლებსა და ბათქა-ბუთქს ისე
მივეჩვიეთ, რომ „გრანატამიოტის“ ხმაზეც
კი აღარ გვედვიძება. ძლივს გამაღვიძეს „ად-
ექი, ყუმბარებს გვიშენო“ . ვიდრე მემი-
ნა სამი თუ თხით ყუმბარა აფეთქებულა ზედ
ჩვენს პოზიციებზე. ვოჩა რაციაზე დედის
ჯიგარს აგინებდა ვიღაცას: „თუ ჩვენი გა-
მოცდა გინდათ, როგორი მებრძოლები ვართ,
ეხლავე ვიჩვენებთო“. აღმოჩნდა, რომ გვი-
რდით, ხევსგაღმა განლაგებული ჩვენივე

პოზიციებიდან, რომელიდაც ნაბახუსევი შემ-
რმოლს ჩვენი ტანკი მისანში ამოერა... თა-
სწოლით ერთობოდა აღდგომა ფლეის, აწ-
ლა ამ წეთისთვის ყველაფერი... მშენდება
არის; კანტი-კუნტად ისმის ხროლები... ზოგ-
ჯერ ამ სწოლებს გინება ენაცვლება ორი-
ვე მხრიდან. დილას მოწინააღმდევის პოზი-
ციებიდან ვიღაცა ქართველად გვაგინებდა
ქართველებს ძალიან საფუძვლიანად: „ქარ-
თველებთ, თქვენი დედა... ქართველებთ,
თქვენი დედის რძე... „და ასე შემდეგ. აქედა-
ნაც არ აკლებდენ გინებას: „არ გაინდოდათ
რძე და ყველი, ეხლა ჭამეთ...“ და ასე შემ-
დებ.

სოფელში, სადაც ჩვენი პოზიციებია,
ერთი მთელი სახლიც კი არ მინახავს. არც
აქაური მაცხოვრებლისთვის მომიკრავს თვა-
ლი... ოდესდაც ეს ძალიან დიდი და მდიდა-
რი სოფელი ყოფილა, ახლა მხოლოდ ნა-
სოფლარი შეიძლება ეწოდოს... ამ სახლის
ეზოში, თუ ეზოს მორიახლოს, სადაც ჩვენ
ვდგავართ, ერთი გაველერებული წითელი
ქათამი დარბის და ახლოს არ გვეკარება...
შერცხლები დაბნეულები დაფრინავენ დან-
გრეული სახლების ირგვლივ, მერე აქა-იქ

შემორჩენილ ელსადენის მავთულებზე სხდე-
ბთან და დუმან... ისინიც გაოგნებულები
ართან აშკარად.



ტერიტორია ბიბლიორეპი

20 აპრილი, 93 წელი.

ჩვენი პოზიციები განლაგებულია მიტო-
კებულ და სანახევროდ დანერეულ სახლებ-
ში ან მათთან ახლოს. გუმინ აქ უპატრონო
ძაღლი გამოსწოდა — წმინდა ჯიშის გერმანუ-
ლი ნაგაზი. ბიჭებმა თქვეს, ეს ძაღლი ტრი-
შმიც გვინახვეს. ძაღლს ერთი ფეხი მო-
ტეხილი აქვს და შემდეგ, როგორც ჩანს,
არასწორად შეხორცებული. ძალიან შეში-
ნებულია, სროლის ხმაზე ჩვენსკენ გამორ-
ბის და ცდილობს ფეხებში შეგვიძვრეს. გა-
საცოდავებული თვალებით შემოგაცერის.
ბიჭები მას ზიზღით ირიდებენ, „ჩვენი ტი-
ლი და ბალდინჯო არა გვყოფნის, ამა-
ამან მოგვიძატოს“. ყელზე ვიღაცას ავტო-
მარის, შაშქანის და ტყვიამფრქვევის ვაზ-
ნები შეუბამს მძივივით. ახლა სროლის ხმა
არ ისმის და ძაღლი ნახევრად დანგრეული

სახლის კიბის ქვეშ წევს ჩრდილში (ამდენი წვიმების შემდეგ დღეს მზუმ გამოიხატა). ამ წეთას ვიღაცამ ავტომატიდან ისრულა, ძალი დაშინებული წამოხტა და წერნის გამოირბის. მკერდზე დაკიდული პატნები შინის სხივებზე ეშმაკის კბილებრივით ელფარება...

სახლთან ახლოს ჭუჭყიანი წყლით სავსე გუბურაა. ვიღაცამ თქვა, აქ წვენს წინ რომ ბიჭები იყვნენ, თევზები დაუჭერიათო, შეიძლება აქ კიდევ იყოს თევზიო, და გუბურაში ქვაშებმული ხელყუმბარა ისროლა. ყველარის აფეთქების ხმაზე ძალი, რომელიც ამ სოფლის სახელით მონათლეს ბიჭებმა, დაფეთქებული ხან იქეთ იცა, ხან აქეთ. გუბურიდან კი ერთი პატარა ლიფსიტა და თეთრმუცელა ბაყაყი ამოტივ-ტივდა... ერთმა ლიფსიტა ალუმინის მავ-თულზე წამოავთ და ცეცხლს შეუშვირა... ვიღაცამ, წვენს გასაღიზიანებლად ცოცხალ-მკვდარი ბაყაყიც მოიტანა და აპა, ესაც შეწ-ვითო, წინ დაგვიგდო...

მარცხენა ფლანგზე სროლა გააქტიურ-და... შემდეგ მარჯვენა მხარესაც და წინა მხრიდანაც გვესვრიან უკვე... ვინც სადარა-ჯოზე არა ვართ, რკინის გასრთან ვსხედ-

ვართ და ქალებზე ვლაპარაკობთ. დროის
დრო ძველი მებრძოლები რომელიმე გარ-
შოდს იგონებენ ცხინვალის თმის ფრთხი-
დელს... ან კიდევ აფხაზთა მიერ წაჭაპოლ-
საშინელებებზე ყვებიან... ტეს აუკრისტი

21 პრილი, 93 წელი.

(დამის თრი საათი). თორმეტ საათამდე
სადარაჯოზე ვიდექით. მერე შეგვცვალეს.
ისევ რკინის კასრთან ვსხედვართ, ცეცხლ-
თან ვმრებით და დაძაბულები მივწერები-
ვა: რთ გარშემოწოდილ სიბნელეს. საშინელი
თავსხმაა. ვიდრე ტოლალებს და წყლით გა-
ჟირევლელ ჩექმებს გავიშრობდე, ყველა
მისაწოდი ადგილი დაკავებულია უკვე. იძუ-
ლებული ვარ ისევ ღუმელთან დავრჩე და
ვიფხიზლო.

გათენდა. მთელი დამე თავსხმა წვიმა
იყო.

კირის უკან
დღეს პირველად დავინახვ ქულანირეფვ კ
მოწინააღმდეგე: სანგარში ჩასულმა წვიმის-
გან ჩამოქცეული ამბრაზურა ხელბარით გა-
ვწმინდე, მივალამაზე, შემდეგ ავტომატის
ლელა გავყავი ამბრაზურიდან და იმ სახ-
ლისკენ მივმართე, საიდანაც, ჩემი ვარაუ-
დით, ისინი ისვრიან და ამ დროს, რომ იტ-
ყვიან თვითონ დამიჯდა სამიზნებე მოწინა-
აღმდეგის შავფორმიანი ფიგურა... იგი, ორ-
სართულიანი სახლის წინ, მანდარინის მე-
ჩხერ ბუჩქებს შორის გამოხნდა და ვიდრე
მე სიტუაციას გავიაზრებდი, ან მოულოდ-
ნელი გაკვირვებისგან გაღებულ პირს მოვ
უმავდი, მიიმალა... ახლა ვცდილობ გავია-
ზრო ის მომენტი, რომელიც სულ რამოდე-
ნიმე წამში მოხდა და ჩემზე ისე იმოქმედა,
ახლაც გონზე ვერ მოუსულვარ: პირველი
გრძნობა, რაც გაოვნებიდან გამორკვეულს
დამეუფლა, სინანული იყო, რომ სროლა ვერ
მოვიფიქრე... შემდეგ, ან თითქმის იმავდ-
როულად, სირცხვილის გრძნობა ამ სინა-
40

ნულის გამო და იმის გამო, რომ ხამინების „დამჯდარ“ შავფორმიან ფიგურას როგორ-ლაც მთნადირული აზარტით ვეფურებოდ და ადამიანად ვერ აღვიქვამდი... ახლა კარგი ნობების ნარევი ტრიალებს წერმის და გელი ეს მერევა...

შემდეგ იმ სახლისკენ ბიჭებმა რამოდე-ნიმე „გრანატამითტი“ სტყორცნებს. მოწი-ნააღმდეგემ მაგარი ცეცხლი გაგვიხსნა... შემ დეგ იქიდანაც და აქედანაც სროლები შეწ-ყდა...

23 პრილი, 93 წელი

ამდენი ხნის კოკისპირული წვიმების შემდეგ, წეხელ, როგორც იქნა ვარსკვლა-ვიანი ცა გამოჩნდა, მაგრამ უმოვარო დამე-ჯია და მაინც ძალიან ბნელა. ბიჭები ამ უამინდობისა და მუდმივი დაძაბულობისგან დაიღალნენ და ნერვიულობენ... ყოველი სა-მი ჯარისკაციდან ორს რაღაცა აწეხებს, ზოგს კუჭი სტკივა, ზოგს ბალლინჯო გაუნ-და, ზოგს მუნი... ბეჭანას ძირმავარები გა-

მოაყარა მთელ ტანზე... მეც, მართალია, რაც
აქა ვარ, კუჭის ტკივილს სერიოზულად არ
შეუწეხებივარ, მაგრამ გუშინ, როდესაც სერ-
გაიმ თავის ტანსაცმლიდან რატოდეწერმუკლა...
ცხალი ბაღლინჯო გამოიყვრნის ჰარისტენდეა...
რომ რამდენიმე დღეა რაღაცები მკბენენ
და უკრადლებას არ ვაქცევდი... როგორც ჩანს
ბაღლინჯოებმა ჩემი სისხლის დაგემოვნებაც
ისურვეს...

დღეს ბიჭები, მე რომ მემინა, მოწინა-
აღმდეგის პოზიციებისკენ გადასულან. საღ-
ლაც იქვე უპატრონოდ მიგდებული მებრ-
ძოლი უნახავთ, დიდი ხნის მკვდარი, შევე
ჭიები ეხვეოდნენთ. ყველაფერს ამას აბალა-
კი ისე დაწვრილებით აღწერს, ეტყობა ჩემს
ჯინაზე, რომ ცუდად ვხდები... არავითარი
საბუთი იმ მიცვალებულს არ აღმოაჩნდათ,
ამბობენ... ვარაუდობენ, დაქირავებული მე-
ბრძოლი იქნებათ... ღმერთმა უწყის... საღ-
ლაც აქვე კი უნდა იყოს ალბათ, რადგან
ზოგჯერ ხრწნის სუნი აქამდეც აღწევს ხო-
ლმე... შემდეგ ყვებიან როგორ მიიპარნენ
ახლოს ერთ-ერთ სახლთან, საიდანაც ტი-

რილის ხმა გამოდითდა თურმე, რამელი
დროდადრო ქართველების მისამართით წერ
ვლა-კრულვა ენაცვლებოდათ.

ერთიანები
ბეჭედობის

25 აპრილი, 93 წელი.

გეშინ დილით ჩამოვედი ჩვენი პოზი-
ციებიდან ტამიშში, სადაც ჩვენი ასეულის
შტაბ-ბინაა. ტალახში და მაზუთში ამოგან-
გლული უნიფორმა გავიხადე და ბაღლინ-
ჯოებისგან რომ გავთავისუფლებულიყავი,
გამოვხარმე. უნიფორმა მზეზე და ნიავზე მა-
ლევა გამრა. ჩავიცვი... ცხელი საჭმელი ვჭა-
მე. შემდევ რამდენიმე პარტია ჭადრაკი ვა-
თამაშე გთჩას. დღის სამი საათისთვის კი
საწოლზე მივწექი, დავიძინე და ამდენი ხნის
უძილოს დილის ხუთ საათზე გამედვიძა
მხოლოდ...

პოლიტიკა

ფრთხოები ყოფნისას ტალახში, ამოვანელულ, წვიმითა და უძილო დაშვებულით გამოიჩინებულ და სხვადასხვა სახის სარაღის ზამკით ყვრებდაყრუებული ჯარისკაცისთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია, შემდეგ კი ძნელად აღსაქმელი და მისაღები, რომ სადღაც მისი ტოლი ახალგაზრდები ჩვეულებრივ რიტში, თითქოს არსად არაფერი ხდებოდეს, მშვიდად აკრძელებენ ცხოვრებას; მისთვის ეს როგორდაც ძალზე შორეული და ირეალურია (როგორც აღბათ ბევრი აქ მყოფისთვის ომი).

ერთი მხრივ, ეს აღბათ, კარგია, რომ ქვეყანას შეუძლია მთელი თავისი ხულიერი, ფიზიკური და მატერიალური „ხელუხლებელი რესურსების“ წართვის გარეშე აწარმოს ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, მაშინ როდესაც მტერი, მთელი თავისი ძალით, ყოველი თავისი ნერვით, ამ მათვების არაფრისმოტან ომშია წართველი, უპერსპექტივო ომში. მაგრამ მუთხეს მხრივ, ეს ორი, ერთმანეთისგან თითქმის პოლარულად გამიჯნელი რეალობა, ერთმანეთისგან პოლარულად გამიჯ-
44

ნული ადამიანების სულიერი მდგომარეობა
ბალზე დამთრგუნველად მოქმედებს ჯარი-
კაცის ფსიქიკაზე, ამ, აქაურ „ნორმალურ“ და-
რემოვცას ის ვერ ღებულობს, და, იგი, თითქ-
შის თავისთავად გარიყელი აღმოჩნდება, რომ ეს
დობიანი საზოგადოებისგან; ხოლო უკუ-
ლივე ამას მეტრძოლი ჯარისკაცის სამართ-
ლიან პრეტენზიებსაც დავუმატებთ ამ „მძი-
დობიანი“ საზოგადოების მიმართ... გავიაზ-
რებთ იმასაც, რომ ჯარისკაცისთვის არა მხო-
ლოდ მტკიცნეული იქნება ის ამბავი, რომ
მის ცოლ-შვილს საჭმელ-სასმელი და ჩასა-
ცმელი აკლია (მაშინ როდესაც მის მეზო-
ჯელ კომერსანტს მისი ომში ყოფნის მანძილ-
ზე თურმე მიღიონები უმოვია), ეს მიხთ-
ვის დიდად შეურაცხმყოფელია, ამით მთლი-
ანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ჩავწერე-
ბით იმ დანაშაულებათა მიზეზებს, რაც ამ
ბოლო დროს ასე გახმირდა...

მე ამით, რა თქმა უნდა, დამნაშავის, ან
დამნაშავეთის გამართლებას არ ვაპირებ,
მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ მეომარი, ან
ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისადმი
გულგრილი, უყურადღებო დამოკიდებულება
საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს უპირველე-

სი და უმთავრესი დანაშაულია, რაც შემჩერ-
ში ამავე საზოგადოებისა და სახელმწიფო
წინააღმდევ შემობრუნდება და მხოლოდ დი-
მნაშავეობის დისციპლინარული მეთოდებით
აღკვეთის მცდელობა, არა თუ სასურამოდ შეკ-
დეგს მოვცემს, არამედ კიდევ უფრთ
გააღრმავებს უფსკრულს „მშვიდობიან“ საზო-
გადოებასა და „მებრძოლ“ ჯარისკაცებს მო-
რის... სამშობლისთვის და ქვეყნისთვის ვუ-
ლანთებულ ბევრ ახალგაზრდას, საზოგადოე-
ბის ამგვარი დამოკიდებულება, დაუფიქრებ-
ლად მოისვრის დამნაშავეთა სამყაროში;
ბოლო დროს ჯარისკაცების მიერ წადენი-
ლი დანაშაულის, თუ ზოგადად ამგვარი დამ-
ნაშავეობის სინდრომთან დაკავშირებით ხში-
რად იხსენიებენ ამერიკის შეერთებულ შტა-
ტებსა და ვიუტნამის ომს, რაც ჩემი აშრით
შეცდომა კი არა, უკვე დანაშაულია და შეიძ-
ლება სწორედ ამ ომისადმი ჩვენი ამგვარი
დამოკიდებულება არის ყოველგვარი დამნაშა-
ვეობის საფუძველი. კი ბატონო, ომი ომია და
ალბათ ყველა ომს აქვს რაღაც საერთო ნი-
შები, მაგრამ ჩვენსავე პატარა ქვეყანაში,
ჩვენივე ტერიტორიული მთლიანობისთვის
მებრძოლი ჯარისკაცები თუ ისევე გარიყულ-

ნი აღმოჩნდნენ წვენი საზოგადოებრი-
სგან და შემდეგ კი დენილნი სახელმწი-
ფოსგან, ვინ იქნება ამაში დამნაშავე თუ არა
საზოგადოება და სახელმწიფო? განკუცია, ეს
გადოების ერთი ნაწილის გელატინური დამრეცე
კიდებულება მეომარი ჯარისკაცებისადმი და
საერთოდ ამ ომისადმი უკვე დღესვე არ უყ-
რის საფუძველს იმ დანაშაულობებს, რაც
შეიძლება შემდეგში მოხდეს, და მოხდება კი-
დევაც, თუ ეს ასე გავრმელდა?

კიდევ ვიმეორებ, ალბათ კარგია, რომ
წვენს სახელმწიფოს მოწინააღმდეგესთან
ბრძოლა, როგორლაც, ცალი ხელით, მთელი
თავისი სულიერი რესურსების დაუძაბავად
შეუძლია, მაგრამ სხეულის დანარჩენ ნაწილს
(ამ ერთი ხელის გარდა) არ უნდა ეძინოს,
თორუმ ის ერთი ხელი შეიძლა მოგვამტვრი-
ონ, ან წვენს წინააღმდეგ შემოგვიბრუნონ
ისევ.

ბოლოთქმაში, როგორც მკითხველი თვი-
თონ მიხვდება, მიზნად არ მქონია არც ამ
ომის პოლიტიკური მიზეზ-შედეგების გან-
საზღვრა, არც რაიმე პროგნოზების ჩამოყა-
ლიბება. მე მას ვუყრებ როგორც უკვე არ-

სებულ ტრაგიკულ რეალობას და იმ ათვეს-
ბით ადამიანის, ახალგაზრდის, ბავშვის, თუ
მოხუცებულის ბედი მაწებებს, უინც ამ ხა-
შინელების მსხვერპლი გახდა, უნიტური
მსხვერპლი, განურჩევლად ერთვნება. ქადა-
ლა ჩვნიაგანის ვალიც ეს არის, რომ ამ აღს ეს
ამიანებს სიტყვითა თუ საქმით ეს მძიმე ხეე-
დრი შევუმსუბუქოთ, მათი ხეედრი შეძლე-
ბისდაგვარად გავიშიაროთ და განვიცადოთ...
გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყნად ბავრვის ერთ
ცრემლად არ ღირს რაიმე.

მხატვარი ქ. ჟენაშვილი
ტექნიკური რეაქტორი ნ. ხვითაძე

შეკვეთა № 96 ტირაჟი 3000

ფაზი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ლომისი“ თბილისი 1993

საქართველოს ჩესპებლიერ პოლიგრაფიისა და
და საგამომცემლო საქმიანობის კორპორაციის № 1
სტამბა, თბილისი, სუბინაშვილის ქ. 50.

